



ბაზეთი ბამოლის 1999 წლიდან

ქართველობის ვადასარჩენად

ეროვნული
ნიშნითა

ილორი

www.ilori.ge



№ 74 (135) 6 ივლისი 2010

სახალხო მოკრობა

“სამეგრელოს” ორგანო

30 თებრი

**ჩვენი საერთო
სალიტერატურო
ენა ქართული,
თუ იბერიული?**

კუკუბრი ფიფია



9

ბაზეთი “ილორი” უპოვება რეპრეზენტაციას “მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები”




ოლეგ ბლოხინი
სტივ ბლუმერი
ზვონიმიტ ბოზანი

12

**თარგამოსიანნი
და თარგამული**

3 ომარ ხუხუა, “ფაზისის” აკადემიის ნამდვილი წევრი



მებრუდი
პოეტიის
რეფლექსია
კოეტი
ლაშა
ბახარია

5

**დასავლეთ საქართველო
XVIII საუკუნის
70-80-იან წლებში**

8 თემურ ქორიძე

კვლავ ერთად,
კვლავ
ერთმანეთის
იხედით...

ბიორბი დიმიტრის
კე შარვაშიძე-ჩაჩბა

2



სირსხვილი გორაკებს და ტყიბულაებს,
სირსხვილი სრულიად საქართველოს!

გასსოვლეთ, გასსოვლეთ, გასსოვლეთ!



6-7

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

ტექსტები

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

გახეთ "ილორის" მეოთხელებს ვთავაზობთ ნაწილებს 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ერთვნივლიანი ცენტრის მიერ ერთობლივად გამოცემულ, პროფესიით ექიმის პაატა ქურდოვანის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებულ ილუსტრირებულ "ქართულ-აფხაზური ალბომი"-დან, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობა აღწერილია. წერის თან ერთვის უნიკალური ფოტომახასიათავე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი ორივე ხალხისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო.

გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე-ჩანჩა



უაღრესად საინტერესო თემაა გიორგი შარვაშიძის, როგორც ევროპულად განათლებული მეურნის საზოგადო წევლის.

ბურჟუაზიული განვითარების გზაზე მდგარ რუსეთის იმპერიაში უსწრაფესი ცვლილებები მიმდინარეობდა. კაპიტალისტურ ეკონომიკაში გაუცნობიერებელი ქართველი და აფხაზი არისტოკრატების უმრავლესობა დიდად არ წახდებოდა საკუთარი მამულის არარაციონალურობაზე. ფაქტიურად გამოუყენებელი იყო მათ მფლობელობაში არსებული ბუნებრივი სიმდიდრეები. ამ დროს უცხო ქვეყნების კაპიტალის მოძილება დიდიხდებოდა და სწორედ მათ ნაშთად ხელში ჩაიღობა ფასად სიმდიდრის უდიდესი ნაწილი. კაპიტალიზმის დამკვიდრებამ ქართულ-აფხაზური საზოგადოების დიდი ნაწილი სრულიად გააღატაკა.

გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე ამ მხრივაც გამოჩენილი პიროვნება აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მან მთელი ცხოვრება სახელმწიფო სამსახურში გაატარა და იშვიათად ჩადიდა საკუთარ კუთხეში, მას ცდა არ დაუკლია მამაპაპური მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და მისი დროის მოთხოვნის მიხედვით წარსამართავად. გიორგის მამულები მთელ აფხაზეთში საჩვენებელი იყო.

გიორგი შარვაშიძის პიროვნება და მისი ნებისმიერი სახის მოღვაწეობა ფართოდ შექცობოდა ქართულ პრესაში, მაგრამ

გამორჩეული ყურადღება მის ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკანონმდებლო ინიციატივას ერგო.

ალექსანდრე III-ის ტახტზე ასვლის შემდეგ რეფორმები ძველებური მიზანწარაფლობით ვეღარ მიმდინარეობდა, რამაც ერთგვარად შეაჩერა სოფლის მეურნეობის განვითარება. კერძოდ, განთავისუფლებული, მაგრამ უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხობა უმიწეს ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

სოფლის ცხოვრების მოწესრიგებით განსაკუთრებით იყო დაინტერესებული პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია. "საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თბილისის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად და განსაკუთრებით გუბერნატორად ყოფნის პერიოდში გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძემ ქართველი გლეხობის სასარგებლოდ ბევრი კარგი ღონისძიება განახორციელა".

გლეხის შრომისა და ცხოვრების რაციონალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი მცდელობა იყო საზოგადოებრივი-სასურსათო მაღაზიების ან მისი შემცველი სასოფლო-სამეურნეო კაპიტალის ფონდების, სავაჭრო-გამსაღებელი საზოგადოებისა და ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობების დაარსება. მან ეს ინიციატივა სახელმწიფო უწყებათა მსჯელობის საგნადაც აქცია. იგი იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ, 1904 წელს იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების მიერ გახიარებულ იქნა და რუსეთის იმპერიის პრემიერ-მინისტრ პეტრე სტოლიპინის სახელმწიფოებრივი რეფორმის დასაყრდენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კანონად იქცა.

გლეხობისადმი გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის უაღრესად თბილი და ჰუმანური დამოკიდებულება არაერთხელ გამხდარა ქართული პრესის მსჯელობის საგანი. "ე. ვვიდენბაუმი კარტოთეკაში დაცულ მასალებში არის მეტად საინტერესო ცნობები გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის შესახებ, - წერს ოთარ ჭურდულია, - ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ: "Причем мощь материально было главнейшей задачей им. Георгия Дмитриевича во все время управления им Тифлиской губернии".

გიორგი შარვაშიძეს, როგორც გუბერნატორს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო აშკარად დაპირისპირებოდა იმპერიალისტურ პოლიტიკას და დაუფარავად გამოეთქვა საკუთარი პოზიცია. მაგრამ მისი უდავოდ დიდი დიპლომატიური ნიჭისა და ადამიანური მომხიბვლელობის წყალობით, ორ უკიდურესობას შორის ბალანსირებას ის წარმატებით ახერხებდა. ამ მხრივ გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის შესხედულებები, გიორგი მისხეილის შარვაშიძის ცხოვრებისეული პრინციპებისგან მკვეთრად იყო განსხვავებული.

"სახელმწიფო სამსახურს ის უყურებდა არა როგორც თავის გამორჩენის წყაროს, არამედ როგორც საზოგადოებრივ-ერთვნივლიან მოვალეობას, როგორც საზოგადოებრივ სამსახურს". - წერდა დიმიტრი ყიფიანის შესახებ პროფესორი სიმონ ხუნდაძე და ვფიქრობთ, ეს გამოხატულებაში

სავსებით შეესაბამება გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძესაც.

დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, იონა მეუნარგია, თეოდორ დანიას, გაბრიელ ქიქოძე, გრიგოლ დადიანი, - რამდენი ასეთი საამაყო წინაპრის სახელის მოგონება შეიძლება. თითოეული მათგანის დედალი ჭეშმარიტად განუზომელია ქვეყნის ისტორიაში. ამ კაშკაშა თანავარსკვლავედს ღირსეულად უდგას გვერდში აფხაზეთის მთავარი გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძეც.

1898 წლიდან გიორგი შარვაშიძე საცხოვრებლად რუსეთის იმპერიის დედაქალაქ სანქტ-პეტერბურგში გადადის და სიცოცხლის ბოლომდე რუსეთის დედოფლის - მარიამ თევდორეს ასულის სამეფო კარის პირველი მინისტრია.

იმპერატორ ალექსანდრე III-ის გარდაცვალების (1894) შემდეგ, 47 წლის ასაკში დაქვრივებული, მაგრამ ენერგიით აღსავსე დედადედოფალი მარიამი, გარემოებათა გამო, თანდათან ჩამოსცილდა უფროსი ვაჟისა და რძლის საიმპერატორო კარს და სულ უფრო და უფრო ნაკლებად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში. მაგრამ მორე მხრივ, ანიხიკოვის სასახლე (სადაც ის იყო დამკვიდრებული), იმპერიის საქველმოქმედო ცენტრად აქცია.

მარიამ თევდორეს ასული ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს ასრულებდა სახელმწიფოში. ამ ჭკვიანმა, განათლებულმა, მიზანდასახულმა და დიდი ნებისყოფის მქონე ქალბატონმა ქველმოქმედება სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად აქცია.

ქვეყანაში არ იყო დარჩენილი თითქმის არცერთი სფერო, დედოფლის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი უწყების კონტროლის თვალსაწიერში რომ არ მოქცეულიყო. თითქმის ორი ათეული წელი ამ უმნიშვნელოვანეს უწყებას დედოფლის კარის უპირველესი მინისტრი და პირადი მეგობარი გიორგი შარვაშიძე უძღვებოდა.

დოკუმენტურად ცნობილი არ არის, თუ როდის და სად გაიცნეს დედოფალმა და გიორგი შარვაშიძემ ერთმანეთი. მაგრამ, სავარაუდოა, რომ მათი დაახლოება საქართველოში უნდა მომხდარიყო. ალექსანდრე III-ის მეორე ვაჟი, დიდი მთავარი გიორგი ტუბერკულოვის მძიმე ფორმით იყო დაავადებული და აბასთუმანში ცხოვრობდა. დედოფალი, როგორც წესი, შვილის სანახავად ყოველ გაზაფხულზე ჩამოდის და საქართველოში. ისიც ცნობილია, რომ გიორგი შარვაშიძეს ძალზე ახლო ურთიერთობა აკავშირებდა მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის ოჯახთან. ჩვენი ვარაუდით, გიორგი შარვაშიძის პეტერბურგში მიწვევის ინიციატორი დედოფლის მეტი ვერავინ იქნებოდა.

მემუარული წყაროები გვამცნობენ, რომ მარიამ თევდორეს ასულს გიორგი მუდმივად თანახლდა და მის გარეშე უცხოეთშიც არ მოგზაურობდა. ამ გარემოებას სამეფო კარის ეტიკეტი მოითხოვდა, მაგრამ თანდათან განჩნდა ეჭვი, რომ დედოფლისა და კარის მინისტრის დამოკიდებულება ოჯახურ იდილიად გადაიქცა და მათ მორგანატიკული ქორწინება აკავშირებდა. ამ საკითხზე

რუსი ისტორიკოსები დღემდე დუმან. საქართველოში კი ეს ვერსია, ზეპირი გადმოცემით, ჩვენამდე შემორჩა. ავტორისათვის ამის შესახებ სხვადასხვა დროს უამბნიათ: პაუსია და ლიხეტი დღებუაძეებს, ბაბო დადიანს. 90 წლის ბატონმა გიორგი (ჟორა) გერსამიამ ისიც აღნიშნა, რომ ეს ამბავი 1930-იან წლებში არაერთი ლენინგრადელი ხანდაზმული არისტოკრატებისათვის იყო ცნობილი. იგივეს გვიდასტურებენ ქალბატონები - მარინა მხეიძე და თათული ღვინიაშვილი. კინორეჟისორი მერაბ კოკონაშვილი ინტერვიუში ამ თემას არაერთხელ შეეხო.

საქართველოში ყოფნის პერიოდში გიორგი შარვაშიძე საზოგადოებისაგან აღიარებული იყო, როგორც ქველმოქმედი და გულისხმიერი ადამიანი. სამეფო კარზე თანამდებობის მიღების შემდეგ კი ამ მიმართულებით მისი მოღვაწეობა კიდევ უფრო გაფართოვდა.

სწორედ დედის, მარიამ თევდორეს ასულის შუამდგომლობის შედეგად ნიკოლოზ II-მ 1907 წელს აფხაზი ხალხი "შეიწყნარა" და მას "დამნაშავე ხალხის" სტატუსი მოუხსნა. გიორგი შარვაშიძის ჩარევით უნდა მომხდარიყო გიორგი მისხეილის ძე შარვაშიძის აფხაზეთში დასახლებაზე თანხმობის გამოცხადებაც. ჩვენი ხალხის აქტუალური პრობლემები მას სახელმწიფო სათათბიროში არაერთხელ გაუქვდებოდა.

გიორგი დიმიტრის ძეს დიდ პატივს სცემდნენ ნიკოლოზ II და სამეფო ოჯახის წევრები, რასაც ადასტურებს კიდევ რუსეთის იმპერიისა და სხვა სახელმწიფოებისაგან მინიჭებული არაერთი უმაღლესი ჯილდო.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დედოფლის მფარველობის ქვეშ მყოფი უწყებების მოვალეობები გაიზარდა, იმატა გიორგი შარვაშიძის პასუხისმგებლობამაც. იმ ურთულეს პერიოდში, პარალელურად, რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების ხელმძღვანელობა (რომელსაც მარიამ თევდორეს ასული 1880 წლიდან თაოსნობდა), უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვდა. დედოფალი, რომელიც 1915 წლიდან კიევში იყო დამკვიდრებული, კოორდინაციას უწყებდა პოსტილებისა და ლაზარეთების გამართულ მუშაობას. პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლში გახვეული ქვეყნის უპირველესი საქველმოქმედო ორგანიზაციის სრულყოფილ ფუნქციონირებას გიორგი დიმიტრის ძემ დიდად შეუწყო ხელი.



მე-19 საუკუნის გაგრა

ლაზონა დო მარბალონა

ოდაბადე, დობადონა, ოდაბადე, დობადონა, ლაზონა დო მარბალონა, ლაზონა დო მარბალონა... ჩქი ყოროფაშ, ჯუმალობაშ მეტ მუთუნი ვამოკონა... მითაჟამუე წორო ვორდით, ასე ზოხო, ხეაღუ-ხეაღუ, მუშენ გოფრთეს, ჯიმაღეფი ოლაზე დო ომარგაღე... იბსარჯელუქ ჟიხოლოშენ, (შურო შური ვამიბაკაშე) უკუნეფიშ კინოხიან ვერისშე დო ლაზიკაშენ... ოდაბადე, დობადონა, ოდაბადე, დობადონა, ლაზონა დო მარბალონა, ლაზონა დო მარბალონა... (ლაზური "დობადონა" მეგრულად "ოდაბადეს" ნიშნავს, ქართულად კი "სამშობლოს").

1993 წანაშ 27 ეკენია

რუსეფ სოხუმ გეჭოფეს დო აფხაზეფი სხაჟუნა... ამდღა რუსიშ ოსხუნური თინეფს მითინ ვაჟუნა... მეურაჟედეს ოთურქქეშა რუსეფს მუჟაჯირეფი, ჩილაშურით ინგარა თინეფიშ შურეფი... გომორბეგილი ნამთინ ვარე, აფხაზა დო მარგალ შქას, მის უძირ, ართ სხაჟუნდას დო მაჟრა ჯიმა ინგარდას... ჟიხოლოსე გინატენა კინე ზუტოლი დო ჯუნა, იშენ მუშის ქოქიმინუნს კოლხურ ზისხერიში ფუნა...

სოხუმი

სოხუმი ვა რე პაღმა-დე მაიორკა, სოხუმი რე ჩქინი ნარლი მონკა...

"არბოქ" ფუთის ქიმაკადირთ

გენათ რუმექ, გეითონათ ტირუ - ტარუს - ფიასკო, ფუთიშ ზღვაპის მეღეა ხეად თეშვანს მუღირს იაზონს... "არბოქ" ფუთის ქიმაკადირთ ჯეჟე ხოპეფით დო ნერთი, შეხეაღამა ოლო რდგო კოლხურ "კუნხა-ბედინერთი"... სევერინქ თქუ: ქუმობლუფი, "არბოქ" ერქემუნაფილო, ოკოლხეში სიცოდილით იბრთუქ თოლეფმუნაფილო... ტიმ სევერინს ქუმეღოშინი: - მი ვორეთ დო სოფრე მურთი, კოლხურ მორდებიანობათ ფუთიშ მინაღს რაგად გუთი... კახურ ბირათ მიღაზარეს ჯეჟე ფაზისის, ამდღარ ფუთის...

რამაზ კუპრა



თარგამოსიანი და თარგამული

“ამბავი რვათა ძმათა თარგამოსიანთა” – ასე იწოდებოდა ლეონტი მროველის “ქართლის ცხოვრება” (იხ. ტ. I. გაწოდებული თანამედროვე ქართული ენით, კომენტარებით და ლექსიკონით, გამომცემლობა “ნეკერი”, 1994). მისი სტილია გადმოცემული: **“სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვკანელთა, პერთა და ლეკთა, მებრელთა და კავკასიანთა ერთი იყო ძამა – სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარგამოსის, ძისწული იაფეტისი – ძისა ნოესი. იყო ესე თარგამოსის კაცი გმირი. როცა აღაშენეს ბაბილონის გოდოლი და როდესაც უკაცოდ იქ ენებოდა და გაიფანტნენ ადამიანები სხვადასხვა ქვეყნებში, წამოვიდა თარგამოს თავისი ნათესავითურთ და დაემკვიდრა ორთა მთათა შუა – არარატსა და მასისსა”** (გვ.3). არარატი მთაა მდინარე არაქსის შუა წელზე, ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად თურქეთის ფარგლებშია, ხოლო მასისის მთებიც ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზეა, თურქეთში, ახლანდელი ტურაბადინი (იხ. **“ქართლის ცხოვრება”**, 144 და 151-ე გვერდები). არარატიან დაკავშირებით ცნობილია, რომ მთას სახელი მისცეს უძველეს ხანაში აქ მცხოვრებმა ხურიტული მოდემის ტომებმა, რომელთა სახელმწიფო, ურარტუს სამეფო, არსებობდა ვანის ტბის ირგვლივ ძვ. წ. IX-VI სს-ში (ურარტუ და არარატი ერთი ძირიდან მომდინარე სახელებია (იქვე გვ.144). ხურიტულ ენას სტრუქტურულად ამსგავსებენ ხან ქართველურ (ნ. ნოზაძე), ხან აღმოსავლეთკავკასიურ ენებს (ი. დიაკონოვი)... ხურიტულენოვანი ძველები უახეკეთებენ ძვ.წ. III-II ათასწლეულებს... ხურიტული ენა (აქ მკვეთარ ენა – **ო. ხ.**) ენათესავება ურარტულ ენას. კავკასიური ენებიდან მას უდარებენ ნახურ – დადესტურ ენებს. ზმინის სტრუქტურაში დასტურდება ტიპოლოგიური მსგავსება ქართველურ (ქართ, ზანურ) ენებთან. **“მისი შვილთა შორის** (თარგამოსის შვილები – **ო. ხ.**) **გამორჩნენ კაცი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი. პირველი ერქვა ჰაოს, მეორეს ქართლოს, მესამეს – ბარდოს, მეოთხეს – მოვაკან, მესხეთეს – ლეკ, მეექვსეს – პეროს, მეშვიდეს – კავკას, მერვეს – ვეროს. და იყო ნათესავი მისი დიდი და ურცხვი, რადგან ჰყავდა მრავალი შვილი და შვილიშვილი, ვედარ იტეგა ქვეყანა არარატისა და მასისისა. მაშინ თარგამოსმა გაუყო ქვეყანა და ნათესავი თვისი რვათა ამათ გმირთა: ნახევარი ქვეყანა მისცა ჰაოსს (სომეხს – **ო. ხ.**), ხოლო დანარჩენი შვიდი წამოიყვანა ჩრდილოეთით და გაუყო ქვეყანა მათი ძირსების შესაბამისად. მისცა ქართლოსს და უბოძა საზღვარი: აღმოსავლეთით – პერთი და მდინარე ბერდუჯისი; დასავლეთით – ზღვა პონტოსი (შავი ზღვა); სამხრეთით – მთა, რომელიც მიჰყვება მდინარე ბერდუჯისს სათავეს და გრძელდება დასავლეთით და მთა, რომელიც მიჰყვება კლარჯეთსა და ტაოს შორის, ვიდრე დიდ ზღვამდე; ჩრდილოეთით საზღვარი – ჯაღო და კიდევ მთა მცირე, რომელიც გამოდის შტოდ კავკასიონის მთიდან და უერთდება ჯაღოს მთის და რომელსაც აწჷქვია სახელი ლახი.**

ხოლო ვეროს მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა და დაუდო საზღვარი: აღმოსავლეთით – მთა მცირე, რომელსაც ჰქვია ლახი; დასავლეთით – ზღვა; ჩრდილოეთით – მდინარე მცირისა ხაზარეთისა (მდ. ყუბანი – **ო. ხ.**), სადამდინარე აღწევს წვერი კავკასიისა. ხოლო ვეროსმა ააშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი – ვერისი, აწ ამ ადგილს ჰქვია **“ბედია”**. (**“ქართლის ცხოვრება”**, ტ. I. გვ. 3 – 4).

თარგამოსიანთა სახელი ბოლოვდება **“ოს”** მარცვლით, რაც ძველბერძნულში სახელობით ბრუნვის ნიშანია. ამდენად, წარმოდგენილი სახელების ფუძეა თარგამ, ქართ, ვერ, და ა.შ. ქართული ენის სახელობით ბრუნვაში მიიღებენ ასეთ სახეს: თარგამ – ი, ქართლ – ი, ვერ – ი... **“გრ”** კომპლექსი ქართული ენისთვისაა დამახასიათებელი, **“რგ”** კომპლექსი – მეგრულითვის. ამდენად, ქვეყნის სახელი

ვერისი ქართულენოვანი ფორმაა და ნიშნავს **“ვერი”** ეთნოსის ქვეყანას, რაც მეგრული ენით გადმოცემა ასე: **არგ – იშ-ი**, სადაც **“იშ”** ნათესაობით ბრუნვის ნიშანია და კუთვნილებას გამოხატავს. **“ი”** კი სახელობითი ბრუნვის ნიშანს წარმოადგენს. მთლიანობაში **“არგაშ”** სიტყვა ნიშნავს არგის ეთნოსის ქვეყანას (მარგალიში ქიანა) – სამეგრელოს, რაც ძველად ასეც აღინიშნებოდა – მარგვეთი (არგვეთი) ანუ ქვეყანა, სადაც მეგრელები ცხოვრობენ. მხედველობაში მაქვს ზემო იმერეთში დავით და კონსტანტინე მხეიძეთა სამთავრო, რომელიც შექმნილია VIII საუკუნეში არაბებთან ბრძოლას, ქრისტიანული ეკლესიის მიერ შერაცხულ იქნენ წმინდანებად და მათი ნეშტი დღემდე განისვენებს მოწამეთას ეკლესიაში, გასაზღვრებამდე - ვერცხლის კუბოში, შემდეგ - ხისაში.

დიდი ხანია ჩემი ყურადღება მიიპყრო რამდენიმე ლექსიკურმა ერთეულმა **“ქართლის ცხოვრებიდან”**, ესენია: თარგამოს, ბარდოს, თარგოს, ბერთეში.

ლეონტი მროველის **“ქართლის ცხოვრების”** მიხედვით, კავკასიის ხალხთა ეთნარქია არის თარგამოს.

ჩემი აზრით, **“თარგამოს”** სამწვერიანი კომპოზიციისაა და აიხსნება მხოლოდ მეგრულ – ჭანურ (კოლხურ) ენით: თარგამოს – **“ოს”** დაბოლოება, როგორც ითქვა, ძვ. ბერძნულ ენაში სახელობითი ბრუნვის ნიშანია. **“თარგამ”** ლექსიკური ერთეული, ამ შემთხვევაში კომპოზიტი, ასე დაიშლება: თარგამ – პირველი ორი წვერი სრული სახითაა წარმოდგენილი და აღნიშნავს იმ სიტყვებს, რომლებიც თანამედროვე მეგრულში დღემდე ცოცხლობენ: თარგ(ი)-გა. **“თარი”** ნიშნავს მთავარს, გამორჩეულს, **“გა”** არის ქართული ქელი. ამ პირველი ორი სიტყვის ურთიერთკავშირი გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს სახელთან, რომლის მნიშვნელობაა **“მთავარი ქელი”**. **“შ”** გვარა საწყისი ფონემაა იმ მეგრული სიტყვებსა, რომელიც იწმკდება (იმალბა ან შეფარული) **“ოს”** ძველბერძნული დაბოლოებით. ერთადერთი მეგრული ლექსიკური ერთეული, რომელიც ამ საიდუმლოს რეალური შემაღვანელია, მოცემულია მეგრულ ტოპონიმში **“თარგამული”**, რომელიც დღემდე შემონახა უძველესმა ენამ დედამიწაზე (მეგრულ – ჭანურმა, იგივე კოლხურმა, იგივე ზანურმა, იგივე აფხაზურმა...).

ჯერ განვიხილოთ უძველესი ტოპონიმი **“თარგამული”**, რომელიც ოფიციალური სახით შემონახულია ასეთი ფორმით – **“თარგამული”**, ხოლო ხალხში ცოცხლობს პირვანდელი ისტორიული სახით **“თარგამული”**.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის IV ტომში აღნიშნულია: **“თარგამული”**, სოფელი გუგუტორის რაიონში (თამაკონის სოფსაბჭო) ოდიშის ვაკეზე, მდინარე ტეხურის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 180 მეტრზე. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

“თარგამოსი” ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიის ხალხთა **“ეთნარქია”** (იქვე გვ. 588). ეს არის და ეს. თარგამული ქელი საერთოდ არ არის ნახსენები ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, მაშინ როცა ის იწვება მთის სოფელ შქანთაში (პატარა თამაკონი) და მთავრდება სოფელ კავუთთან, მდინარე ტეხურის მარცხენა მხარეს ათეული კილომეტრის შემდეგ, მაშინ როცა თარგამულის ქელი არა მარტომ მთავარი წყალგამყოფია მთელს სამეგრელოში, არამედ ყველაზე დიდი სამხედრო დანიშნულების, ციხე-სიმაგრეების მთელი სისტემის მქონე ყველაზე მაღალ ქედს წარმოადგენს კოლხეთის დაბლობზე, უძველეს კოლხურ ქალაქ ნოქალაქამდე (არქეოპოლისამდე). ჩვენ პირდაპირ დავივიწყებთ, შესწავლის მიზნით, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ადგილი და ვეყოლია საკუთარი ინფორმაციები.

გივი ელიავა თავის წიგნში **“აბაშისა და გუგუტორის რაიონების ტოპონიმთა”,** სოფელ თამაკონს ასე აღნიშნავს: **“თარგამი”,** სოფელი. სამურზაყანოდან გამო-

ქვეული კაცი დადიანს შეხიზვინა, დადიანს მისთვის მიწა უბოძებია. ხიზანს უთქვამს: **“თაქმოკო”** (აქ მინდაო) და აქ მიუციათ მიწა. აქედან განდა სახელწოდება **“თამოკო”** (მოქმელი ლეკვანტი გვილაგა – გვ.163). **თარგამი**, ამ ტოპონიმს თარგამს უკავშირებენ. თარგამური ვაზიცაა. მოქმელი ი. ფაცაცია, გვ. 164.

გივი ელიავა სოფელ თარგამულის ოფიციალურ, პასპორტიზებულ სახელს გადმოგვცემს ისე, როგორც ადგილობრივი იტყვიან **“თარგამი”** ფორმით, რადგან მათ მეტყველებაში **“ლ”** თითქმის არ ისმის მაშინ, როცა სოფელ დიდიჭყოლის სამხრეთი მხარე, მეზობელი სოფლები გურქემი, კიწია, ნოლა თავიანთ მეტყველებაში **“ლ”** ბგერას გარკვევით გამოთქამენ და ასე იტყვიან – **“თარგამული”**, ასევე გამოთქამენ თარგამულის ქედსაც. აქვე შევნიშნავთ, როგორც ზემოთ ვთქვით, ტოპონიმის მეორე წვერი თავად აღნიშნავს ქედს.

ქართული ქედის ზუსტი შესატყვისია მეგრული **“გა”**.

მეგრული და ქართული მონათესავე, ძმა ენებია სვანურთან ერთად (ძმა ენებში უფროს – უმცროსობა არ არსებობს). მეცნიერული კვლევისას ეს ყოველივეს უნდა გვახსოვდეს. ფონეტიკური თვალსაზრისით **გ ბ ქ** ფონემები ერთი სახელებისაა, განსხვავდებიან ხმიანობის, ქვედაღობის მიხედვით: **“გ”** მუდგია, **“ქ”** – ფშინიერი, **“პ”** – მკვეთრი. ამდენად, ამ ბგერათა მონაცვლეობა ან შენაცვლეობა ბუნებრივი მოვლენაა.

მეგრული **“გა”** შეიცავს **“გ”** მუდურ თანხმოვანს, ქართული **“ქელი”** შეიცავს **“ქ”** ფშინიერ თანხმოვანს და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მეგრული, როგორც თვალსაზრისით, გაცილებით მდგრადია, შიშინა და **“გ”** თანხმოვანი მუდგური ფონემაა, მდგრადია **“ქ”** თანხმოვანი, ფშინიერი ბგერა, ოღონდ განსხვავებული კატეგორიისა.

ჩვენ განსაკუთრებით დაგვიინტერესს ინფორმაციები ი. ფაცაცია ნათქვამა სოფ. **“თარგამო”** - ს. უსახებ – **“ამ ტოპონიმს თარგამს უკავშირებენ”** -ო. ვინაა ან რა არის თარგამი? ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ქედისა და სოფლის სახელწოდება იდენტურია, ორივეს ერთნაირი საფუძველი გააჩნია და ეს საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, ქედის სახელწოდებიდან მოდის, რადგან ეს ქელი არის ნოქალაქე-არქეოპოლისის, უძველესი კოლხეთის უპირველესი ციხე-ქალაქის საფუძველი საფუძველი, ყველაზე თვალსაჩინო ორიენტირი მთელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კის მთათა სისტემასთან და ციხე-სიმაგრესთან ერთად, რომელთაც შუაზე ჰყვეთს მდინარე ტეხური, შემდეგ კოლხეთის დაბლობზე მიმდინარე თვით შავ ზღვამდე.

ინფორმაციები ი. ფაცაცია ნათქვამი მოდის ათასწლეული წლებიდან და აქ შემთხვევითობასთან ჩვენ საქმე არა გვაქვს.

მაშ ასე: ჩავთვალოთ, რომ თარგამოსი სულაც არ არის ზღაპრული სახელი, მოგონილი პიროვნება, იგი რეალურად არსებული ეთნარქია. მისი პირადი ცხოვრებისეული და მშობლიური ქვეყნის ისტორიული პროცესები კი ხშირ შემთხვევაში შეიძლება რეალური არ იყოს. ეს საკითხის სულ სხვა მხარეა.

ვის უნდა ხსომებოდა მრავალი ათასი წლის წინანდელი ისტორიული მანიპულირება? არავის. ეს სულაც არ იყო საჭირო. მაგრამ ვერისის ისტორიული სახელის დაგვიწყება არავის შეუძლებოდა ქართლში ადრე თურმე ქართულად კი არა, სომხურად ლაპარაკობდნენ. თურმე სომეხი ეთნოსი ბატონობდა ქართლის ცხოვრების მიხედვით. ხომ არ დავეუვათ, უხსოვარ დროში სომეხი ნამდვილად ცხოვრობდა დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოში, ხომალად დღემდე კუთხე, სოფელი სომხითი, სომხთარნი ქართლში? ისინი დღეს ქართულად ლაპარაკობენ, ამ ისტორიის შექმნის წლებშიც, ადრე კი ექნებოდათ საკუთარი ენა? აუცილებლად. მაგრამ განა ისინი

მართლა ჰოსიანთა ეთნოსიანი იყვნენ? აი, ამაზე პასუხი კი ხალხს არ შეუძლო და ისინი იჯერებდნენ იმას, რასაც იტყვოდა მათი ეთნარქია და ეს ხდებოდა მაშინ როცა ქართლში უკვე ექვს ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელთა შორის სახელმწიფო ენად ითვლებოდა ქართული, მეორე სახელმწიფო ენად ბერძნული და, რა თქმა უნდა კოლხურის სხეუბა საერთოდ არ იყო და არც ჭირდებოდა. **“ქართლად ფართადი ქვეყანა აღიარაცხებოდა, რომელსაცა შინა ჭამი ქართულითა ენათა შეიწირვოდა და ლოცვა ყოველი აღესრულებოდა, ხოლო კირილეისონ ბერძნულითა ენათა ითქმოდან...”**

მაშინ ჰოსიანთა ეთნოსი გრიგორიანულ რწმენაზე იყო შემდგარი.

აი, ამიტომ იწერებოდა კავკასიელ ეთნარქია მოგონილი სახელები ძველბერძნული სახელობითი ბრუნვის ნიშნით. ბერძნული ხომ მსოფლიო ენად ითვლებოდა და გამკითხავიც ათასწლეული წლების შემდეგ არავინ იყო.

გავიხსენოთ მეცხრამეტე საუკუნის საქართველო. როცა თავადაზნაურთა გვარები ოფიციალურ დოკუმენტებში რუსულენოვანი დაბოლოებებით იწერებოდა (ბარათოვი, ბებუთოვი, ციციანოვი...), ანდა თბილისელი ქართულგვარებიანი არმენები, ჰოსთა შთამომავალინი. სომეხის ისინი თავიანთ თავს არ უწოდებენ ახლაც. ისევე, როგორც აფხაუბი, შუგარბიანი აფხაზის ისტორიულ სახელს, კოლხის, მეგრელების სახელს და აფხაზობას იწვამებენ. მეგრელები, ნამდვილი კოლხები, იგივე აფხაზები, იგივე ზანები, იგივე ლახები თავიანთ თავს აფხაზად არ თვლიან. აი სადამდეა მისული ქართული ისტორიოგრაფიაში ისტორიული უკულმართობა და ამას ყველა გულდამშვიდებული შეჰყურებს. არავინ ისე ცუდად არ იცის თავისი ქვეყნის ისტორია, როგორც ქართველთა – გულისტკივილით ბრძანა ერთხელ დიდმა ივანე ჯავახიშვილმა და ამას თან გადაჰყავდა როგორც ისტორიკოსი და როგორც პიროვნება.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, უნებურად მაკონდება ერთი უძველესი იდიომატური თქმა, რომელიც რამდენიმე ათასი წლის წინანდელია და რომელიც დღემდე უბრალო ხალხში შემონახულია. ალბათ, თქვენც გაგიგონიათ: **“ძღაბი ვარ, ანტიკარე”** (ქალიშვილი კი არა ანტიკარე, ეი. ბერძენივე ლამაზიაო). ვითომ მეგრელი მედეა რომელ ბერძნის ქალზე ნაკლები იყო ან სიბრძნით, ან სიღამაზით, ან ვაჟაკცური შემართებით! უნებურად მაკონდება დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ტკივილიანი სიტყვები: **“ქართველი საუკეთესო ქართულ თხილსაც კი ბერძნულს ეძახისო”**.

აი, ასეთი მიმბაძველები ვართ.

ეს იცოდნენ **“ქართლის ცხოვრების”** ავტორებმა და იმ ჯგუფმა, ვინც მათ უკან იდგა და ამიტომ ეთნარქები გააბერძნეს სწორედ იმ **“ოს”** დაბოლოებით.

თარგამული, ნოქალაქე-არქეოპოლისის ცნობილი იყო ყველა დროის საქართველოში, მთელს მაშინდელ მსოფლიოში და ამით თვალს აუხვიებს შინაც და გარეთაც უკლებელი ყველას და, უპირველეს, ხალხს.

თარგამოსი მთელი კავკასიის მამად წარმოადგინეს. იგი კი ვერი იყო თავისი თარგამულით, არქეოპოლისით და საბოლოოდ მოხდა ისე, რომ ემორჩილებოდა ფარნავაზიანთ და ბოლოს დაავიწყდა კიდევ კოლხობა, რადგანაც **“ქართლის ცხოვრება”** საერთოდ **“კოლხ”** ეთნოსს, **“ლახს”**, **“ზანს”** არ იცნობს.

ომარ ხუხუა,
“ფაზისის” აკადემიის
ნამდვილი წევრი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალალანიასი



ასეა, მემუარისტების მიერ მოყვანილ ზოგიერთ კონკრეტულ ფაქტს ბერიასთან დაკავშირებით, ასე თუ ისე, უნდა ვენდოთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაფუძვროთ მით განსჯას და პირად შთაბეჭდილებებს. მაგალითად, სუდოპლატოვი მემუარებში წერდა, რომ შინსასკომში ეყოფის მოსვლაზე თუ არ ჰქონდათ საგამომიებო ნაწილი (გამომიება მიჰყავდა ოპერაციულ მუშაკს, რომელიც ამავე დროს მუშაობდა აგენტურასთან და დამსმენებთან და ამზადებდა საბრალდებო დასკვნას), სწორედ ეყოფისა და ბერიას მმართველობის ვაჟს შეიქმნა სპეციალური საგამომიებო ნაწილი, რომელიც, როგორც სუდოპლატოვი ამტკიცებს, ძეგლების მტერე ვით ახერხებდა სრულიად უდანაშაულო დაპატიმრებულებისაგან მათთვის მისაღები “აღიარებების” მიღებას.

აქ სახეზეა ორი ბუნების მქონე შინსასკომის — ეყოფისა და ბერიას — ერთ ფენომენად შემოქმედების უბადრუკი მცდელობა, რასთანაც სუდოპლატოვს არავითარი შეხება არ ჰქონდა, ვინაიდან სუდოპლატოვი იყო მხედრადი და არა გამომიებელი.

ისე კი, მართლაც, ეყოფის დროს შინსასკომში საგამომიებო ნაწილი არ იყო! იგი შეიქმნა ბერიას შინსასკომში მოსვლის შემდეგ (დასაწყისში მას სათავეში ედგა ბოლდინ ქობულაძე), და მისი ეს ნოვატია სანქციონებული იყო თვით იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მიერ. აი, როგორ აფასებს ლაგერენტი ბერიას მიერ დანერგილ ამ სიახლეს სამამულო სპეცსამსახურების ისტორიის შემსწავლელი საზოგადოების წევრი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ვინოგრადოვი: “ეს გახლდათ პირველი ნაბიჯი საბჭოთა სპეცსამსახურების მრავალწლიან ისტორიაში, როცა ძებნისა და გამოძიების ფუნქციები გამოჯნულ იქნა ერთმანეთისაგან მათი კვალიფიციური გადმოღობის თვალსაზრისით”.

ამგვარი კახუსი, ძვირფასო მკითხველო, ფრიად ნიშნადობლივია! ბერიაზე ბრალდებულად უყენებენ იმას, რაც მისი უდავო დამსახურებაა, რადგან სწორედ მან ალაღობინა ქვეყანაში სხვებისაგან მიფუნქციონებული სამართლიანობა!

თუმცა, ჩვენის მხრიდან სრული უსამართლობა იქნება იმის არაღიარება, რომ აღნიშნული საკითხი პირველად სტალინის წინაშე სწორედ ეყოფა დააყენა. 1937 წელს მან ბარათი მისწერა სტალინს, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდებოდა:

“გამომიებულები, რომელიც ნებისმიერ ინფორმაციას მიიღებს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისაგან, აგენტურული მონაცემების რეალიზაციისათვის მოითხოვს კანონიერ საფუძვლებს პიროვნების დასაპატიმრებლად და შეეცდება, რომ მასზე გადაცემული აგენტურული საქმე სათანადოდ იქნას დამუშავებული და დოკუმენტირებული”.

არა, თუ ღრმად და ყურადღებით ჩაწვდებით საქმის არსს, დაერწმუნდებით, რომ არც ეყოფი იყო “სისხლისმსმელი ჯალათი”.

პავლე სუდოპლატოვი თავის მემუარებში (ან შეიძლება მისი მემუარების პოლიტკორექტორები) ხშირად ბოროტად იყენებს პირველ პირში ნათქვამ აზრს, რომელიც თითქოსდა ბერიას ეკუთვნის. ამიტომ არ მჯერა იმ სიტყვების, რითაც ისინი ბერიას ალაპარაკებენ ხოლმე. მაგრამ ის, თუ როგორი რეაგირება მოახდინა ლაგერენტი ბერიამ ერთ-ერთ სიტუაცი-

ციაზე 1938 წელს, რასაც პავლე სუდოპლატოვი გადმოგვცემს, მე ვიჯერებ როგორც ტექსტუალურად, ასევე შინაარსობრივადაც.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულის წინაღმდეგ, დილის 4 საათზე სუდოპლატოვი გააღვიძა უცხოეთის განყოფილების სამდივნოს უფროსმა კოზლოვმა და სასწრაფოდ მოსთხოვა მას ლუბიანკაზე მისვლა, რადგან თურმე დაუპატიმრებიათ უცხოეთის განყოფილების უფროსი პასოვი.

აქ სუდოპლატოვს შეხვდა კოზლოვი და იგი მერკულოვთან შეიყვანა, რომელიც მასთან სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო. მერკულოვი და სუდოპლატოვი შემდეგ ბერიასთან წავიდნენ.

შინსასკომის შეფმა ბერიამ მათ აცნობა, რომ პასოვი და შიშველგლასი დაპატიმრებული არიან პარტიის შეცდომაში შეყვანისათვის და მას, სუდოპლატოვს ევალდა, რომ დაუყოვნებლივ დაიკავოს უცხოეთის განყოფილების უფროსის თანამდებობა. თითქოს უძილობით გადაღლილმა სუდოპლატოვმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ვერ შევიდოდა პასოვის კაბინეტში იმიტომ, რომ იგი დაღუპული იყო.

ბერიამ, ჩემის აზრით, გასცა უაღრესად კონკრეტული და ლაკონური პასუხი: “ახლავე ახსენით კარებს ლუქი და დაიხსომეთ, მეორედ დროს ნუ დამაპარავინებთ ამგვარი სისულელეების მოსმენით. დაიხსომეთ, თქვენ სკოლის მოსწავლეები არ ხართ, რომ ბავშვური შეკითხვები დამისვათ!”

მხოლოდ სამი ფრაზაა — სამი! მაგრამ, ბერიამ წამის უმაღლეს: ა) ბერიამ აგრძობინა სუდოპლატოვს, რომ მას ამის მერე ეკისრება არა მხოლოდ დიდი პასუხისმგებლობა, არამედ იგი აღჭურვილია დიდი უფლებებითაც; ბ) განუსაზღვრა შემდგომი საქმიანი ურთიერთობის არეალიც, რომ საჭიროა საქმეზე საუბარი ყოველგვარი შესავლების გარეშე;

გ) მოუწოდა ქვეშემდგომს, რომ მას არ უნდა ეშინოდეს პასუხისმგებლობის. ესე იგი, თუ შენ გეშინია არა საკუთარი, არამედ სხვისი კაბინეტის კარებზე დასმული ლუქისათვის ხელის ხლევა, მაშინ შენ სერიოზულ საქმეებზე გადაწყვეტილებას ნამდვილად ვერ მიიღებ.

დ) და ამას ბერია აკეთებს ყოველგვარი ლანძღვა-გინებისა და აღიარების გარეშე, რაც სასუსებოთ საქმარისა იმისათვის, რომ შეგნებულმა ადამიანმა მყისვე მოჰკიდოს საქმეს ხელი და ჩაერთოს საქმეში.

სწორედ ეს გახლავთ უმაღლესი კომპეტენტურობისა და საქმისადმი ფანატიური სიყვარულის კლასიკური მაგალითი, რომელიც ბერია ყველგან და ყოველთვის ავლენდა. და მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც 1940 წელს მოხდა და რომელსაც იგივე სუდოპლატოვი მოვითხრობს.

მათთვის, ვისაც ბერია “ეურდალაკად” და “სისხლისმსმელი ჯალათად” მიაჩნია, ეს მაგალითიც დაუჯერებელი იქნება, მაგრამ ეს ნამდვილად მოხდა.

საქმე კი შემდეგში იყო...

1940 წლის დასასრულს საბჭოთა კავშირმა შემოიერთა ჩრდილოეთ ბუკოვინა და სუდოპლატოვმა (რა თქმა უნდა, ბერიას ნაწილობრივ) იქ მოაღწია სახელმწიფო უშიშროების კაბინეტს ადამოვიჩის ჯგუფი, რომელშიც, სხვათა შორის, შედიოდა ვილიამ ფიშერიც, რომელიც შემდეგ სახელგანთქმული გახდა როგორც რუდოლფ აბელი. ფიშერი შინსასკომიდან დაითხოვეს იმიტომ, რომ მტრის მხარეზე გადავიდა ორლოვ-ფელდბინგი, მაგრამ ბერიას მიერ სათანადო შემოწმების ჩატარების შემდეგ იგი კვლავ აღადგინეს შინსასკომის ორგანოებში.

ადამოვიჩის ინსტრუქტაჟი უნდა ჩატარებინა ოთხი აგენტისათვის, რომლებიც საზღვარგარეთ უნდა გადაესროლათ, ფიშ-

ერს კი მათთვის რადიოკავშირის საფუძვლები უნდა ესწავლებინა. ადამოვიჩს კი თან ჰქონდა უცხოეთის საბჭოთა დიპლომატიურ, კომერციულ, სავაჭრო წარმომადგენლობებში, ჟურნალისტურ და სხვა წრეებში ნაწარმოებელი აგენტების ფოტოსურათები, რომლებიც მოქმედებდნენ ვარშავაში, დანციგში, ბერლინში და კრაკოვში. აგენტები მათთან უნდა გასულიყვნენ კავშირზე.

და მოულოდნელად, ადგილზე ჩასვლისთანავე, ადამოვიჩი აორთქლდა. პირველმა ამის თაობაზე შეიტყო უკრაინის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა სეროვმა და მასშივე მოახსენა ხრუშჩოვსა და ბერიას.

და, აი, სუდოპლატოვი ბერიას კაბინეტშია, რომელიც, რა თქმა უნდა, გააფორმებულია იმით, რომ სუდოპლატოვმა ვერ გამოთვალა ადამოვიჩთან დაკავშირებული ყველა წერილმანი. ამ დროს, კავშირგაბმულობის სპეციალური ხაზით რეკავს ხრუშჩოვი. და სუდოპლატოვს ეძღევა არსებული მომხმინოს, თუ როგორ საყვედურობს უკრაინის კომარტიის ცეკოს პირველი მდივანი ხრუშჩოვი ბერიას უკრაინის შინსასკომის საქმეებში ჩარევისათვის, კერძოდ კი იმიტომ, რომ მან უკრაინაში გამოავსა “გამცემი” ადამოვიჩი, რომელიც, ხრუშჩოვის ხელში არსებული ცნობების თანახმად უკვე “გადავიდა გერმანელების მხარეზე”.

ხრუშჩოვის ლანძღვა-გინების საპასუხოდ ბერია მშვიდად და ზრდილობიანად პასუხობს, რომ მის გვერდით დგას დახვედრის უფროსის მოადგილე, უშიშროების მაიორი სუდოპლატოვი, რომელიც მის ყველა შეკითხვაზე გასცემს პასუხს. ამის შემდეგ ბერიამ ყურმილი სუდოპლატოვს გადასცა.

ხრუშჩოვმა არ მოუსმინა სუდოპლატოვის განმარტებას იმის თაობაზე, რომ ადამოვიჩი კომპეტენტური მუშაკია, რომელიც კარგად იცნობს პოლინეტოს, უხეშად აწყვეტინებს მას და უცხადებს, რომ დიდ საფრთხეს შეუქმნის მის კარიერას თუ იგი კვლავაც შეიფარებს “ბანდიტებსა და ნაბიძრებს”. შემდეგ კი, დაუშვიდობებლად, ყურმილს უკიდებს მას. და ეს გახლავთ დემოკრატიის მიერ გაღმერთებული, მომაგალი ძირგამომამალი “დათბობის” ინიციატორი.

მათ მიერ მოძულეებული “ჯალათი” ბერია კი მშრალად, ოფიციალურად აძლევს სუდოპლატოვს ორ დღეს ადამოვიჩის მოსაძებნად და აფრთხილებს: “პოლიტიურად წინასწარი დაგალების შეუსრულებლობის გამო თქვენ ამ საქმეზე სრული პასუხისმგებლობა დაგეისრებათ...”

საგანგებო რეჟიმში იწყება გამაღებელი ძებნა, მაგრამ გადის ორი დღე და შედეგი არ ჩანს. და სუდოპლატოვმა გააკეთა ის, რითიც აღბათ უნდა დაეწყო — ადამოვიჩის სახლში დაურეკა და მის მეუღლეს დაელაპარაკა... მეუღლის სამსახურის ხელმძღვანელობის ამგვარი ყურადღებით გახარებულმა ცოლმა სუდოპლატოვს აუწყა, რომ მისი ქმარი უკვე თავს კარგად გრძობს, რომ იგი ორი დღეა წვეს ტვინის შერყევს დიაგნოზით და მასთან უკვე იყვინენ შინსასკომის პოლიკლინიკის ექიმები, რისთვისაც დიდი მადლობა გადაუხადა სუდოპლატოვს და შინსასკომის ხელმძღვანელობას.

არა, ძვირფასო მკითხველო, ყველაფერს ასე იოლად ვერ ავხსნი...

აღმოჩნდა, რომ ადამოვიჩი, დაძაბული სამუშაოს შემდეგ ჩერნოვიციის რეინიგზის სადგურის რესტორანში საფუძვლიანად გამოთვრა და ტუალეტში ვიდაცეგებს ჩხუბი გაუმართა. თავში მაგრად ჩაარტყეს, რის შემდეგ გონება დაკარგა და აგენტების ფოტოსურათებიანი საქალდე დაკარგა (რომელიც მოგვიანებით ადგილობრივი შინსასკომის თანამშრომლებმა იპოვნეს სადგურის ტერიტორიაზე). ადამოვიჩმა შემდეგ იმდენი მოახერხა, რომ მოსკოვის მატარებელზე დაჯდა და სახლში წავიდა ისე, რომ მომხდარის

თაობაზე არავისათვის უცნობებია. და, აი, სუდოპლატოვი კვლავ შევიც კაბინეტშია.

“მოგახსენებდი რა ბერიას, — იგონებს იგი — მე დღის დასასრულს ვაუწყებ მას, რომ ადამოვიჩი მოსკოვშია?”.

— დაპატიმრებულია? — მკითხა ბერიამ.

— არა! — ვუთხარი მე და შევეცადე ამეხსნა სიტუაცია.

კაბინეტში მხოლოდ ჩვენ ორი ვიყავით. მან უხეშად შემსწვევინა და დამაყარა სიტყვები, რომლის გავონებასაც აშკარად არ მოველოდი სკკპ პოლიტიბუროს წევრისაგან (სხვათა შორის, მაშინ, ბერია მხოლოდ პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატი იყო — ს. კრემლიოვი). იგი გააფორმებული სცემდა ბოლთას თავის ვებერთელა კაბინეტში და ხმაოდ გადავიტანდა მე და კაბიტან ადამოვიჩს, გვეძახდა ბრიყვებს, უპასუხიბებლო ძუძუმწოვრებს (სხვაგვარად რა შეიძლება უწოდო მართლაც ასეთი სიბრიყვის ჩამდენს?), რომლებიც ვარცხენთ შინსასკომის სახელსა და ღირსებას პარტიული ხელმძღვანელობის თვალში.

— რატომ სდუმხართ? — შეწყვიტა მოულოდნელად ბერიამ თავისი ტირილი და სახეში შემომამტერდა.

უპასუხე, რომ საშინლად მტკიოდა თავი...

ბერიაზე “დემოკრატთა” მიერ შეთხზულ კინოსცენარებში, სუდოპლატოვის ამგვარი რეპლიკის მოსმენის შემდეგ არაადაშიანური ხმით უნდა ედრიალა:

— აჰა, თავი ეტკივა? მე ახლა ამ თავს კვერცხთან ერთად მოგადრობ და ეხლში გადავისვრი!

მაგრამ რეალურად სულ სხვა რამ მოხდა:

“— მაშინ ახლავე, ამავე წამს წადი სახლში! — მიბრძანა ბერიამ”.

მეორე დღის დილას სუდოპლატოვს ბერიას მდივანმა დაურეკა. იგი უაღრესად კონკრეტულად და საქმიანად დაელაპარაკა: — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა გიბრძანათ, რომ სამი დღე სახლიდან არ გამოხვიდეთ და იმკურნალოთ, და დაამატა, რომ შუგი უგზავნის საქართველოდან ჩამოტანილ ლიმონებს.

ძვირფასო მკითხველო, ეს არ გახლდათ ბერიას მიერ დიდგაცურად გაკეთებული საჩუქარი, ამგვარი საქციელი ბერიას ცხოვრების ნორმა იყო. მრავალი წლის შემდეგ, როცა ბერია ბორთული პროგრამის ხელმძღვანელობდა, პროექტის წამყვანი თეორეტიკოსების იული ხარიტონოვის და იაკობ ზელდოვიჩის განცხადებაზე ათი დღით შეგუბლების მიცემის შესახებ, წააწყრა განკარგულება იმის თაობაზე, რომ მეცნიერებს საფუძვლიანად ემკურნალათ.

როგორ წარმართა ადამოვიჩის ბუდი? იგი უბრალოდ გააძვეგვს შინსასკომის ორგანოებიდან და სადღაც, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაბალ ეშელონებში მიუჩინეს ადგილი. სუდოპლატოვი მას 50-იან წლებში სრულიად შეთხვევით შეხვდა მოსკოვის ერთ-ერთ თეატრში გამართულ პრემიერაზე.

ბერია შეურიგებელი იყო მტრების მიმართ. ადამოვიჩი კი, უბრალოდ, აყვია ადამიანი გამოდგა და ბერიამ იგი მხოლოდ თავიდან მოცილა. იგი ხომ თვითნება ხრუშჩოვი არ გახლდათ, რომელიც ყველას დახვედრას ითხოვდა მაშინ, როცა ბერიას შეეძლო სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობა გამოენახა.

ბერია მართლაც დიდ ყურადღებას იჩენდა მათ მიმართ, ვინც ამას იმსახურებდა. როცა მექსიკაში დააპატიმრეს ტროცკის მკვლელები მერკადოვი, ბერიამ სუდოპლატოვი იხმო და უთხრა, რომ დიდ თანხებსაც კი არ დაიშურებდა კვალიფიციური ადვოკატების დასაქირავებლად, რომლებიც შეძლებდნენ იმის დამტკიცებას, რომ ტროცკი ოჯახური ინტრიგების მსხვერპლი გახდა.

გაგრძელება იქნება

მებრუღი პოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექელია-ნაბორდიშა).

მისთვ ღუდი ქუყორცვნი,
ვემკიჭანცვ, მარებულცვ –
ორ ჭურჭიში მაცქვაფურცვ,
ღუდიშ უგუხარებულცვ,

მუთუნ ვაუჯგ ნდარე ოსურც –
ვეჰარამათ ზისნახეფცვ
ლერჭყვას ვაყინტაფუანცვ
ანძვარებულ ყაზაყეფცვ.

ფუთის აღნაფეფისანგ,
ქარიატაშ მალეპერცვ,
ნინა – შქერიში თოფურამცვ –
გემუანო მანებულცვ.

მონჭვაცალო ქათირღუანც,
ქგვიწაფანც ბაღანეფცვ.
ვარა, მიწით, ოშ ორჩხეშო
მის უჭკადუ ართი ყამა?

თეს თიშენი იბგანჩუქუ –
ნამარებუ ოსურ პუნცუ.
ხეშე მუთა გგშაზადე,
ნინათ ჯა დო ქუას ნწყუნცუ.

ვართ მუშისგ იღანჯებუ,
(ვამენირზა, ვართ გამდღანა)
ორჩხე ხოლო უმოღე რე –
ოშ ლეკურიშ ემნარღამა.

ვართ ორტვინ ორგ, ვართ –
ნახვილი,
ირო ყებურც ვლახუცუ,
ღორღონტქ დოჭყუ მარებულ დო,
ღუცულაფი ჩქიმი ღუცუ!

ქომონც ხოლო მეთხუებუ
ოსურიში მეფერაფა,
ოჯახიში აწოყუნა
სქუალეფიშ ხენჯღვარაფა.

მარა, სქვამი ოსურიში
მინჯგ ხოლო ვაუღ სვანჯი:
ირო ახალ კაბა ოკო,
მინ ციმუა, მინ – სარანჯი.

მუთა ოცქაფალ გოხოლუ
გალგალე გესერაფა,
ჩილიშ ხასლას კუსაფი დო
შხვამ ოსურიშ მეფერაფა.

თოფურიში შურქ ქანთხუდა,
ბაღდადიშე ქუმურც ჭანჯი,
ხათე ფეშერ ვაფერთიდა,
ხომ დიჭვი დო დიდარანჯი...

ჭერჭე კაბაშ მათხოზინე
კოც მოჭვათგ მიოჩქ ჩილი.
გალე მეურჩხიალუაფ
მინ ორქო დო მინ – ვარჩხილი

თუკი თავი შენი გიყვარს
მაჭანკალს არ გაეკარო
გონჯ-მახინჯთა მაქებარი
თავად გაუხარებელი.

სჯობს რომ გყავდეს მდარე
ცოლი,
ლამაზ ქალს ნუ დახარბდები,
ახლოსაც არ გაიკარებს
აძუენებულ მამაკაცებს.

ფოთი, ხობი, ქარიატა
არა ერთგ ზის ავლილ-ჩაველილს,
ენათაფლად მოთაფლული,
თან საამოდ მავნებელი.

ბავშვს კრუხივით დაჰფოფინებს
გამოზრდის და გამოწაფავს...
ვინ თქვა ქარქაშისათვისა
ერთი ხმლისა გამოჭედევა.

ამას ვამბობ, იმიტომ რომ
მეც მაცდუნა მარებულმა.
და შევირთე ცოლი, ენით
ხეს გაახმობს, ქვას გახეთქავს.

ერთ ქარქაშში ერთი ხმალი
არასდროს არ დაუანგდება,
მაგრამ ას ხმაღანანაგები,
ვის სჭირდება ის ქარქაშში?

არც ბოსტანი, არც სარეცხი...
კერიასთან მიცუცქულა,
წყეულ იყოს მარებელი
და თავს ლაფი – თავსა ჩემსას.

ქმარს უცილოდ ევალევა
არ მოაკლოს ცოლს ალერსი,
წინ გაუძღვეს ოჯახს, იყოს
მაგალითი შვილებისთვის.

მაგრამ ლამაზ ცოლის პატრონს
არ ექნება მოსვენება,
მუდამ ახალ კაბას მოგთხოვს,
ხან მარწყვი სურს, ხანაც თაფლი.

არც ის არის საქებარი –
გარე-გარე სიარული,
ცოლის გვერდით ხვრინვა-ძილი,
სხვისი ცოლის ხვეწა-კოცნა.

თაფლის სუნზე ბუზანკალი
ბაღდადიდან მოფრინდება,
შოლტით თუ არ მოიშორე,
ხომ შეგარცხვენს, ხომ დაგაქცვენს.

ჭრელი კაბის მოტრფიალეს
ცოლი კრუხად მიაჩნია,
სხვასთან მიაქვს ოქრო-ვერცხლი,
სხვისი გულის მოსაგებად.

ბთავაზობთ ნაწყვეტებს ნაკო მუსხიას წიგნიდან "რობორ ბასხვისლა აფხაზეთი".

იმ წლებში ხშირად გაისმოდა ვაი-პოლიტიკოსთა ხმა-
მალაღი შეძახილები: "ვინ არიან აფხაზები? რა უნდათ
იმაზე მეტი, რაც გააჩნიათ? აფხაზეთი მარტო მათი ხომ
არაა! აფხაზეთზე მეტი პრობლემა არაა საქართველოში?!
თუ წესიერად არ იქნებიან, გადავუვლით და ა.შ." ყოვე-
ლივე ამას, დამეთანხმებით, წინდახედულ და გონივრულ
პოლიტიკოსთან არაფერი ჰქონდა საერთო.

აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება კი ჩვენ-
გან სულ სხვა, ზედმიწევნით წინდახედულ მიდგომას
მოითხოვდა. მიუხედავად დაძაბული საერთო პოლიტიკური
ვითარებისა, კონფრონტაციის და დესტაბილიზაციის
შეჩერება, სიტუაციის განმუხტვა, ქართველთა და აფხაზთა
ურთიერთობაში რეალურად არსებული პრობლემების
მოგვარება ჯერ კიდევ შეიძლებოდა პოლიტიკური დი-
პლომატიის, კონსენსუსის გზით. ზოგიერთი მყვირალა და
ჩუმჩუმელა პოლიტიკოსისაგან განსხვავებით, მე დღესაც
მჯერა, რომ აფხაზეთში შექმნილი მიძიმე რეალობის გან-
მუხტვა, ძირითადი პრობლემების გადაჭრა შესაძლებელი
იყო სწორედ და მხოლოდ პოლიტიკური დიპლომატიისა და
კონსენსუსის გზით. ამას ალტერნატივა არ გააჩნდა! ყოვე-
ლ შემთხვევაში, ჩვენ ყველაფერი უნდა გვედონა
იმისათვის, რომ ომი თავიდან აგვეცილებინა და ყველა
არსებული პრობლემა მშვიდობიანი გზით გადაგვეწყვი-
ტა. ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ ურმის გადაბრუნების
შემდეგ ვინმეს ბრძენად მოვევლინო, ან შევახსენო საყ-
ოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება, რომ ომის (დიდის თუ
მცირესი), ფატალური გარდაუვალობა არ არსებობს და
არც არასდროს იარსებებს.



შესაბამისად, არც ერთი პოზიტიური ნაბიჯი არ
გადაგვიდგამს. ვახერხებდით მხოლოდ იმას, რომ სიწყნარე
ყოფილიყო. ფრთიანი გამოთქმისა არ იყოს, ეს იმას ჰგავს,
ბავშვი რითაც ვინდა გაერთოს, ოღონდ არ იტიროს!

სავსებით ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა: მაინც რით
იყო ყოველივე ეს გამოწვეული და რატომ დაუშვით ამ-
დენი საბედისწერო შეცდომა? რატომ არ მოგვარდა ორივე
მხარისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები?!

...უპირველესად, არ უნდა მიეჩქმალათ ის ფაქტი, რომ
